



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

ბრძანება

№ 65

8 - მაისი 2014 წ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის _
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-
მოვალეობების განაწილების წესის და სასწავლო ცენტრის თანამშრომლის მიერ შესრულებული
სამუშაოს შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და
„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის
წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის
მინისტრის 2009 წლის №59 ბრძანების მე-5 მუხლის „ლ“ და „ო“ პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების
წესი ბრძანების N1 დანართის და სასწავლო ცენტრის თანამშრომლის მიერ შესრულებული
სამუშაოს შეფასების ფორმა ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ს.ს.ი.პ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო
ცენტრის დირექტორის 2012 წლის 3 იანვრის N2 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ _ სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების
განაწილების დამტკიცების თაობაზე“.
3. დაევალოს საქმისწარმოების სპეციალისტს _ მაია ჯანგირაშვილს წინამდებარე ბრძანების
დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი,
სანდრო ეულის №3ა) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გარდაბანი, დავით
აღმაშენებლის ქ. №14).

დირექტორი
ზოია ხასია